შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY

დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის შეფასება და ანგარიში

13 აგვისტო, 2025

შესავალი

„Natali Academy“ მუდმივად ცდილობს, სასწავლო პროგრამები იყოს მორგებული შრომის ბაზრის დინამიკაზე და დამსაქმებელთა მოლოდინებზე. სწორედ ამ მიზნით 2025 წელს ჩატარდა დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სილამაზის, ესთეტიკისა და დაკავშირებული მომსახურებების სფეროში მოქმედმა კომპანიებმა — სალონებმა, ესთეტიკურმა/სპა ცენტრებმა და მცირე/საშუალო საწარმოებმა.

კვლევის მიზანი იყო შეფასებულიყო:

1. კურსდამთავრებულთა პროფესიული ცოდნისა და მზადყოფნის დონე;
2. სასწავლო შინაარსის შესაბამისობა ბაზრის საჭიროებებთან;
3. პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა და ხანგრძლივობა;
4. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადეკვატურობა;
5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა და დასაქმების მზაობა;
6. დამსაქმებელთა დამოკიდებულება ინკლუზიური დასაქმების მიმართ.

გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ ფორმატში (Google Forms), მოიცავდა დახურულ და ღია კითხვებს და უზრუნველყოფდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მონაცემების ანალიზს. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც სტრატეგიული დაგეგმვისთვის (პროგრამების შინაარსის, მოდულების და პრაქტიკის გაუმჯობესება), ისე ხარისხის მართვის სისტემის გასაძლიერებლად (მატერიალური ბაზის განვითარება, შეფასების სისტემების დახვეწა, კარიერული მხარდაჭერის გაძლიერება). გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, წინამდებარე ანგარიშში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განხორციელდა ანალიზის შეფასება და შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს აკადემიის სტრუქტურების შესაძლებლობებს და განვითარების მიმართულებებს.

ძირითადი მიგნებები

1. კურსდამთავრებულთა ცოდნა და მზადყოფნა

- **83.3%** დამსაქმებლების თქმით, კურსდამთავრებულები სრულ მზადყოფნაში არიან პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად;
- **16.7%** მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი გამოცდილება ან კონკრეტული ქეისების გაცნობა.

  პასუხები მიუთითებს, რომ აკადემიის პროგრამები ეფექტურად ამზადებს კურსდამთავრებულებს, თუმცა მცირე სეგმენტში არსებობს სპეციალიზებული უნარების გაღრმავების საჭიროება.

2. სასწავლო შინაარსის შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან

- **66.7%** აფასებს პროგრამებს როგორც სრულად შესაბამისს ბაზრის მოთხოვნებთან;
- **33.3%** ასახელებს ნაწილობრივ შესაბამისობას — აქცენტი კეთდება კონკრეტული ტექნოლოგიების ან სპეციალიზაციის გაძლიერებაზე. უკუკავშირი ასახავს საერთო შესაბამისობას, თუმცა მიანიშნებს პერიოდული შინაარსობრივი განახლების საჭიროებაზე.

3. პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა

- **83.3%** პრაქტიკას „ძალიან მნიშვნელოვანად“ მიიჩნევს;
- **16.7%** — „საშუალოდ მნიშვნელოვანად“.

  დამსაქმებლები ერთხმად უსვამენ ხაზს რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების კრიტიკულ როლს.

4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- **83.3%** მიიჩნევს, რომ აკადემიის მატერიალური ბაზა საკმარისია;
- **16.7%** ფიქრობს, რომ საჭიროა აღჭურვილობის ტიპოლოგიის, რაოდენობის ან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

5. უნარების ნაკლებობა

- **66.7%** თვლის, რომ კურსდამთავრებულებს სრულად აქვთ საჭირო უნარები;
- **33.3%** ასახელებს ნაწილობრივ უნარებს — აქცენტი კეთდება სპეციფიკურ, მაღალი სიზუსტის ტექნიკებზე.

6. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაბამისობა

- **66.7%** თვლის, რომ ეს ბალანსი სრულად შეესაბამება სფეროს მოთხოვნებს;
- **33.3%** ხედავს საჭიროებას, რომ ზოგიერთ თემას დაემატოს მეტი პრაქტიკული სიღრმე ან სპეციფიკური პროტოკოლები.

7. პრაქტიკის ხანგრძლივობა

- **50%** კმაყოფილია არსებული ხანგრძლივობით;
- **50%** მიიჩნევს, რომ საჭიროა პრაქტიკის დროის გაზრდა ან ინტენსივობის ზრდა.

8. დასაქმების მზაობა

- **100%** დამსაქმებელი მზად არის Natali Academy-ის კურსდამთავრებულების დასაქმებისთვის. ეს მაღალი ნდობისა და აკადემიის რეპუტაციის მკაფიო ინდიკატორია.

9. კონკურენტუნარიანობა

- **83.3%** თვლის, რომ კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან;
- **16.7%** — ნაწილობრივ, აქცენტით სპეციალიზაციის გაღრმავებაზე.

10. ინკლუზიური დასაქმება

- **66.7%** მზადაა მისცეს შანსი შშმ/სსსმ პირებს;
- **33.3%** დამოკიდებულია კონკრეტულ როლზე და ფუნქციაზე.

რეკომენდაციები

1. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და ოპტიმიზაცია

მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებმა მაქსიმალურად სრულყოფილი პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ, რაც მათ საშუალებას მისცემს სწრაფად და პროდუქტიულად ჩაერთონ სამუშაო პროცესში.

დამსაქმებლების უმრავლესობა პრაქტიკას აფასებს როგორც კრიტიკულ კომპონენტს. მიუხედავად ამისა, გამოკითხვამ აჩვენა, რომ 50%-ს სურს პრაქტიკის ხანგრძლივობის ან ინტენსივობის გაზრდა. სასურველია, რომ პრაქტიკული სწავლება მოიცავდეს არა მხოლოდ ძირითადი პროცედურების შესრულებას, არამედ რთული შემთხვევების ან სპეციფიკური ტექნიკების პრაქტიკულ დამუშავებასაც.

განხორციელების გზები:

1. პარტნიორული ქსელის გაფართოება ისეთი კომპანიებით, რომლებიც სტუდენტებს შესთავაზებენ სხვადასხვა პროფილის სამუშაო გამოცდილებას **(პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი);
2. პრაქტიკის სტრუქტურის დიფერენცირება — ძირითადი ეტაპი (ბაზისური უნარები) და გაფართოებული ეტაპი (სირთულის დონის მატება, რეალური კლიენტების მომსახურება) **(პასუხისმგებელი:** სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროგრამების ხელმძღვანელები).

2. სპეციალიზაციის გაღრმავება და უნარების გაფართოება

კურსდამთავრებულები, სასურველია, ფლობდნენ არა მხოლოდ საბაზისო, არამედ კონკრეტულ სეგმენტზე მორგებულ ღრმა ცოდნასა და უნარებს, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას.

დამსაქმებელთა 33.3%-ის პასუხებში ჩანს, რომ საჭიროა სპეციალიზებული ტექნოლოგიების და უნარების გაძლიერება. ეს განსაკუთრებით ეხება მაღალი სიზუსტის პროცედურებს, თანამედროვე ინსტრუმენტებსა და სერვისების სპეციფიკურ მეთოდოლოგიებს.

განხორციელების გზები:

3. კონკრეტული ტექნოლოგიების ან/და მეთოდიკების სწავლების გაძლიერების მიზნით დამატებითი ღონისძიებების განხორციელება **(პასუხისმგებელი:** სასწავლო პროცესის მენეჯერი; პროგრამების ხელმძღვანელები).

4. ინდუსტრიის წარმომადგენელი მოწვეული ექსპერტების სემინარებისა და მასტერკლასების გაძლიერება (**პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი).

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაფართოება

სასწავლო გარემოს მაქსიმალურად დაახლოება ინდუსტრიის თანამედროვე სტანდარტებთან, გაზრდის სწავლის რეალისტურობას და სტუდენტების ადაპტაციის სისწრაფეს.

დამსაქმებელთა 16.7%-მა აღნიშნა, რომ აღჭურვილობა ნაწილობრივ საკმარისია. ეს შეიძლება მიუთითებდეს ახალი თაობის მოწყობილობების ნაკლებობაზე ან მათ რაოდენობრივ შეზღუდვაზე.

განხორციელების გზები:

5. ინდუსტრიის ბოლო ტენდენციების გათვალისწინებით აღჭურვილობის პერიოდული განახლება (**პასუხისმგებელი:** სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები, მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი);

4. ბაზრის ტენდენციების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

სასწავლო შინაარსი მუდმივად უნდა იყოს შესაბამისობაში შრომის ბაზრისა და ინდუსტრიის დინამიკასთან.

ბაზრის მოთხოვნები სწრაფად იცვლება, რაც საჭიროებს სასწავლო პროგრამების დროულ ადაპტაციას. დამსაქმებელთა 33.3%-მა მიუთითა ნაწილობრივ შესაბამისობაზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ახალი ტექნოლოგიების, სერვისების ან პროცედურების არარსებობით სასწავლო გეგმაში.

განხორციელების გზები:

6. ყოველწლიური შეხვედრები დამსაქმებლებთან პროგრამის შინაარსის განსახილველად და სფეროს სიახლეების გაცნობის მიზნით (**პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი);
7. ბაზრის კვლევა და ტენდენციების ანალიზი სასწავლო გეგმების პერიოდული განახლებისთვის (**პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები);

8. ინდუსტრიის სიახლეების ინტეგრაცია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში **(პასუხისმგებელი:** სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები).

5. ინკლუზიური დასაქმების ხელშეწყობა და სოციალური პასუხისმგებლობა

აღნიშნული პუნქტის მიზანს წარმოადგენს შშმ/სსსმ პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა, დამსაქმებელთა მზადყოფნის გაზრდა და სამუშაო გარემოს ადაპტაცია.

დამსაქმებელთა 66.7% მზად არის მისცეს შანსი შშმ/სსსმ პირებს, თუმცა 33.3% ხაზს უსვამს კონკრეტული როლის ქონას. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა დამატებითი ცნობიერების ამაღლება და გარემოს ადაპტაციის პრაქტიკული მხარდაჭერა.

განხორციელების გზები:

9. სპეციალური ტრენინგების ორგანიზება დამსაქმებლებისთვის და სტუდენტებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნის შესახებ **(პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი);
10. სამუშაო სივრცის ადაპტაციის გაიდლაინის შექმნა **(პასუხისმგებელი:** სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი);
11. ინკლუზიური დასაქმების წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია, როგორც აკადემიის შიგნით, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში **(პასუხისმგებელი:** სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი);

დასკვნა

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ „Natali Academy“-ის კურსდამთავრებულები მაღალ დონეზე არიან მომზადებულნი, კონკურენტუნარიანები და პრაქტიკულად მზად არიან სამუშაო პროცესში ჩართვისთვის.

პროგრამების შინაარსი დიდწილად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა კონკრეტულ მიმართულებებში არსებობს განვითარების შესაძლებლობები და სივრცეები.

მიღებული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაძლიერებას, პრაქტიკული კომპონენტის ოპტიმიზაციას და დამსაქმებლებთან პარტნიორობის კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც საბოლოოდ გაზრდის

კურსდამთავრებულთა კარიერული წარმატების შესაძლებლობასა და აკადემიის პოზიციონირებას პროფესიული განათლების სექტორში.